№ 207 12 ღვინობისთვე, ხუთშაბათი 1866—1878 12 ღვინობისთვე, ხუთშაბათი № 207

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზედ.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

# საქართველო

## სამეურნეო შკოლაზედ

ბევრჯელ თქმულა, და ეს უთქმელადაც ცხადია, რომ ჩვენი ქვეყანა ყველაზე უმთავრესად და ყველაზე უწინ მეურნეობის ქვეყანაა. შეიძლება ჩვენ, ქართველებმა, ვაჭრობაც დავიწყოთ, ქარხნები და ფაბრიკებიც გავმართოთ, მაგრამ თვითონ ხალხი ჩვენი მაინც მუდამ მეურნეობის მიმდევარი, მიწის შემმუშავებელი ხალხი იქნება. თვითონ ბუნებას, ისტორიულ ცხოვრებას მოუნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა.

მეურნეობიდამ უნდა მოველოდეთ ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობას და წარმატებასა. ის არის და ის უნდა იყოს ერთად-ერთი წყარო ჩვენი ცხოვრებისა. მაშა სადამე იმაზე, ამ მეურნეობაზე და მიწის შემუშავებაზედ უნდა გვქონდეს ჩვენ უემთავრესი ყურადღება მიქცეული.

ესე უნდა იყოს. მაგრამ ნაცვლად ამისა რას ვხედავთ?

ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქართველი, თუ ცოტა რამ განათლება მიუღია, სტოვებს თავის ადგილ-მამულს, მიწასა, წყალს და შედის სამსახურში ან სხვა რამე საქმეს ჰკიდებს ხელს. რას ვამბობ განათლებულებზე! თვით გლეხიც ასე იქცევა: ისიც ყოველ წამს მზათ არის. მიატოვოს თავის მამული (თუ კი გააჩნია).

რისგან არის ეს? იმისაგან, რომ ჩვენი მეურნეობა ისევ იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩვენი მამა-პაპების დროს ყოფილა. ისევ იმავე მიწას ვხნავთ, ისევ იმავე სამეურნეო იარაღებით, იმავე ხერხით, ერთის სიტყვით, ეს მეურნეობა ისევ ისე მიგვყავს, როგორც ჩვენ წინაპართ მიჰყავდათ. ამის გამო მიწა „დაიღალა", იმას მოაკლდა ნაყოფიერება, იმის მესამედსაც აღარ გვაძლევს, რასაც ადრე გვაძლევდა. აღარ მოაქვს იმას ჩვენთვის საკმაო საზრდო და ჩვენც ვანებებთ იმას თავს და სხვა საქმეს ვკიდებთ ხელს; ამ სხვა საქმისაგან უფრო მომეტებულ სარგებლობის გამოღებას მოველით.

მაგრამ ჩვენი ებედურება ეს არის, რომ ვერც იმ სხვა საქმეებში ვხედავთ ხეირსა, ვერც იქიდამ გვაძლევა მომეტებული სარგებლობა და ჩვენი ადგილ-მამულიც უპატრონოთ, გაუვერანებული და შეუმუშავებელი რჩება.

ამ უკანასკნელ წელიწადებში რამდენმამე ჩვენებურმა ახალგაზდა ყმაწვილებმა თითქო შეისწავლეს საზღვარგარეთ მეურნეობა და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. მაგრამ იმათგან ჯერ-ჯერობით ჩვენს ქვეყანას არავითარი ხეირი არ უნახავს. ყველა ხელ-გულ-დაკრებილი დაბრძანებულა შინ და ამბობენ:—„ფულები არა გვაქვს და უფულოდ არაფრის დაწყება არ შეგვიძლიან!"

არავინ არ ჰკადრულობს, რომ ჯერ პატარათი დაიწყოს, ცოტ-ცოტათი ეცადოს მეურნეობისა და ოჯახობის რიგიანს გზაზე დაყენებას და ცოტ-ცოტათი შემოიღოს ის გაუმჯობესება, რაც ევროპის მეურნეობაშია, და ამ ნაირად ზურგი გაიმაგროს. ყველას ერთბაშად, უეცრად, ხელ-გაუნძრეველად უნდა, რომ ერთმა დღიურმა მამულმა უეჭველად ათი თუმანი წმინდი სარგებლობა მოუტანოს და ბოთლი ღვინო მანეთად გაასაღოს.

ეს არის ჩვენი უბედურება.

ამ განათლებულ მეურნეებისაგან ჩვენ იმდენ სარგებლობას არ მოველით, რამდენსაც ცოტა ნასწავლთაგან; ისევ პრაქტიკულად მცოდნე მეოჯახეების იმედი უნდა გვქონდეს, ისეთების, რომელნიც ამ თავით პატარათი კმაყოფილდებიან და თვითონ მუშაობენ თავის ხელითა.

ამ გვარი პირების გაჩენა შეეძლოთ ჩვენში სამეურნეო შკოლებს.

მაგრამ გასაკვირველი და დასაფიქრებელი როგორ არ არის, რომ კავკასიის აქეთა მხარეში, ამ მეურნეობის დედაქვეყანაში არც ერთი სამეურნეო შკოლა და სასწავლებელი არ არის! ერთი შკოლა იყო—ლოჭინისა,—ისიც დახურეს და ახლა სულ უპატრონოდ დავრჩით!

თუ ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც ამ გვარი საქმეებისათვის ხაზინიდამ ბლომათ ეძლევა ფული, არ ზრუნავს ამისთვის, თუ იმას ეს სამი წელიწადია, ადგილიც კი ვერ ამოურჩევია სამეურნეო შკოლის გასახსნელად, ჩვენ, ქართველი შეძლებული და განათლებული ხალხი, სადა ვართ? რატომ თვითონ ჩვენ არ ვზრუნავთ, რატომ თვითონ ჩვენ არ ვცდილობთ, რომ როგორმე მოვათავოთ ეს ჩვენი არსობითი საქმე და ორი სამეურნეო შკოლა მაინც გავმართოთ: ერთი ქუთაისის და მეორე ტფილისის გუბერნიისათვის?

ნუ თუ მუდამ მთავრობას უნდა შევჩერებოდეთ ხელებში და ყველაფერს იმისაგან უნდა გამოველოდეთ?

ს. მ.

## დღიური

*** გასულ ორშაბათს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ჰქონდა ამ ზაფხულის შემდეგ პირველი სხდომა, რომელზედაც სამს ყურადღების ღირსს საგანზედ იყო სჯა: „პიროუტყვის ჭირზედ კავკასიაში", „კახურს ღვინოზედ" და „ახალციხის ბაღოსნობაზე."

პირველს საგანზე პიროუტყვის ექიმმა უფ. ბოლოტოვმა სთქვა, რომ პიროუტყვის ჭირი ომს მიეწერებაო. ამ ომის დროს საქონელს ერთობ ბევრი შრომა

და წვალება ჰქონდაო, საჭმელ-სასმელი ნაკლებათაო და ამისაგან გაჩნდაო. საცა საქონელს ზომიერი შრომა და რიგიანი საჭმელი აქვს, იქ თავის დღეში ავათმყოფობა და ჭირი არ გაჩნდებაო.

Ꮆ. რაფ. ერისთავმა ასწერა—თუ როგორ იციან ჩვენში ღვინის მოყვანა, როგორ და ვის საშუალებით სადღება კავკასიის ღვინო და ჩამოთვალა აგრეთვე სხვა-და-სხვა ყურძენი.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო უფ. ზეევსკის მოხსენება ახალციხის უეზდის ბაღოსნობაზედ. თვით აქაური მეურნეობაც გვიჩვენებსო, სთქვა უფ. ზეევსკიმ, რომ ეს უეზდი (ახალციხისა) საქართველო არისო. აქ სწორეთ ისეთივე მეურნეობა არის, ისე მოჰყავთ პური, ღვინო, როგორც საქართველოში. სხვა რომ არა იყოს-რაო, აქაური სამეურნეო იარაღებით და მეურნეობით შეიძლებოდა გამოეცნო კაცსო, რომ ეს ქვეყანა ერთ დროს საქართველოს ნაწილი ყოფილაო.

უფ. ზეევსკის ჰაზრით, ახალციხის მხარისთანა ჩინებული ხილი, განსაკუთრებით მსხალი და ვაშლი არცერთს მხარეში არ მოდის; ამის გამო აქაურ ბაღოსნობას დიდი მომავალი აქვსო; ჯერ ახლაც წელიწადში უკანასკნელი სამოცი ათასი მანეთის ვაშლი და სხალი გააქვთ აქედამ და ჰყიდიანო და შემდეგში, თუ ამ წარმოებას ყურადღება მიაქციეს და გზები გაკეთდა, ერთი-ათად მომატებას უნდა მოველოდეთო.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ის ოსტატური მაშინა, რომელიც მიუგზავნეს ამას წინათ მოსაკლავად უფ. იაკობ ხეჩიკოვს, დაუშლიათ, რევოლვერი ამოუღიათ იქიდამ და გამომძიებელს წაუღია „ნივთიერ დასამტკიცებელად“ დამნაშავის წინააღმდეგ. თვითონ დამნაშავეს, თვის ჯერ ვერ მიუგნიათ; ჩვენ გვითხრეს მხოლოთ, რომ უფ. ხეჩიკოვს ერთს თავის ახლობელ ნათესავზედ აქვს ეჭვიო.

⁂ ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ რამდენიმე შენიშვნა იმ ზედ-წარწერაზე, რომელიც იპოება მეტეხის ეკკლესიაზე და რომელიც, როგორც ამბობდნენ, დაიკარგაო, რადგან ქვა, რომელზედაც იყო დაწერილი, ჩამოვარდაო. თუმცა ეს ამბავი ტყუილი გამოდგა, თუმცა მეტეხის ეკკლესიის კედლიდამ არავითარი ქვა არ ჩამოვარდნილა, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ აქ ის ზედ-წარწერა, რომელიც ჩვენ ამ დღეებში გადმოგვცეს:

„მეფემ ერეკლემ ეს ციხე მტერსა
წაართო ძალადო,
„აილო ჯვარი ქრისტესი, წინ მიიმძღვარა
ფარადო,
„დაიხსნა ეკკლესიანი, ეხლა აქვს საყდრის
კარადო,
„ღვთის მოყვარეს ხელმწიფეს ესე
სჭირს ამას გვარადო!
„მხვთის სადიდებლად მეოხედ მეორის
ერეკლესია...“

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ სიღნაღის, სამოქალაქო სასწავლებლის ქართული ენისა და საღმთო წერილის მასწავლებელს მამა ბეგიევს დაუწერია ქართული ისტორიული წიგნი, რომელშიაც არის გამოყვანილი—თუ როგორ ჩამოგვეგლიჯა ძველ დროში სამცხე-საათაბაგო და ინგილოებში. ამ წიგნში არის აგრეთვე რამდენიმე საუბარი საზოგადოთ ქრისტიანობაზე და მაჰმადიანობაზედ.

უწმინდესს სინოდს ეს წიგნი ყველა ქართველ მღვდლის საჭირო და გამოსადეგ წიგნად უცვნია და ამის გამო ამ მოკლე ის დაიბეჭდება.

---

«დროების» კორრესპონდენცია

---

ოზურგეთი, 3 ოქტომბერს. ოზურგეთი იმ წრეში მალე იქმნება, როგორც ომიანობის წინეთ იყო შესახებ სახლის სიმრავლისა.

განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ჩვენი ჯარების მეუფროსეები და ვაჭრები ფულით აივსნენ.

გლეხი კი ამბობს: ჩვენ ვერ სიდგან შევძელო ფულის შოვნა, თითქმის 6,000 კაცი თოფს ქვეშ იყვნენ და სხვები სხვა-და-სხვა მოთხოვნილებით ვიყავით გაყვანილნიო!

მაგრამ ერთით კი ბედნიერი ვიქნებით, თუ მართლა აგვისრულდა ის, რაც თქვენ გაზეთში და სხვებშიაც ეწერა: ბათუმიდამ რკინის გზის წამოყვანა, გურიაში გამოვლა და სამტრედიის სტანციაზედ შეერთება. ეს თუ გაგვიმართლდა, მაშინ გურიის მცხოვრებლებ გარდა იმისა, რომ მოგზაურებს გზა შეგვიმოკლდება, საყიდელს და გასაყიდს ადვილათ წავიღებთ-წამოვიღებთ, მუშაობით რაოდენიმეს შევიძენთ და ეს ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება.

გახშირებული ქურდობისა გამო, ბევრი კაცი დაიჩაგრა და უთუოდ ბევრი კიდევ დავიჩაგრებით; თითო ათი და თორმეტი თუმანი რომ ღირს, იმისთანა ცხენები ზოგს ორი მოჰპარეს და ზოგს ერთი.

ამბობენ, რომ აქამდის ქობულეთი იყო ქურდობის და ავაზაკობის მიზეზიო. ჩვეულება თუმცა ცუდი მოსაშლელი არის, მაგრამ ახლა გარემოება იმათ ნებას არ აძლევს და ვერც ვიტყვით, რომ იქითკენ მიჰყავდეთ ნაქურდალი საქონელი. ეხლა ქობულეთიდ გარდაგვექცა, სამეგრელო, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი. სენაკის უეზდში, ოჩპირსა და ფოთს შუა რაოდენიმე ადგილს არის პარომები და ნავები; მეპარომეები და მენავეები არიან სოფლის მცხოვრებთაგანნი; როგორც ამბობენ, ის ქვეყნის მავნე კაცები ამ მენავეების დიდი გაცნობილი და ერთმანერთის თანამგძნობი არიან: რა დროზედაც უნდა მივიდეს ღამე, გინდ დღე, გინდ ავდარში, იმავე მინუტში გაიყვანებენ, ანუ თვითონ გამოართმევენ ნაქურდალს, და ამნაირად სარგებლობენ.

ამ ომიანობაზედ თუმცა ნაკლები იყო ამ გვარები, მაგრამ უთუოდ მისთვის, რომ სამსახურში იყვნენ და არ ჰქონდათ თავისუფლება.

ძალიან კარგს კი იქს უ. სენაკის უეზდის უფროსი, ამ მეპარომეებს და მენავეებს რომ ყურადღებას მიაქცევდეს, ხანგრძლივ ერთი და იგივე მენავენი არ იყვნენ, ანუ რამ სხვა საშუალებას მოახდენდეს. მაშინ იმედია, შემცირდეს, რომ აღარ დახვდებათ თავიანთი ამხანაგები.

ესეც უნდა ვსთქვა, რომ ეს მენავეები დიდს უწესოებას სჩადიან: ხალხს სუდია იბარებს ანუ სხვა საქმისათვის, ზოგნი სუჯუნას სავაჭროთ ანუ საქმისათვის სხვა და სხვა სოფლებში მიდიან და რადგან აქედგან ემარჯვებათ, მივლენ, სთხოვენ მენავეს გაიყვანოს და მისცემს, რასაკვირველია, ერთს შაურს; თუ რუსულ ქუდიანი და სერთუკიანი ანუ პალტოიანი არის, ქირა როგორც შეიძლება, იმავე მინუტში შეუდგებიან გაყვანას; სხვა კი ერთი საათიდგან სამ საათამდინაც იცდის, არ გაიყვანს. თუ მიეძალე, გამიყვანეო, გეტყვის: ჩვენ ხომ მმართებლობის დაყენებული არა ვართ, შენ სულაც რომ არ გაგიყვანო, ვერაფერს მეტყვიო! და ამისთანები.

მგონია, რიგია იქაურმა მეუფროსემ ყურადღება მიაქციოს ამისთანა უწესოებას.

გიორგი ნიკოლაიშვილი

---

# უცხო ქვეყნები

---

## ინგლისი

ავღანისტანთან შეტაკების თაობაზე ყველაზე უფრო გავლენიანს ინგლისურს გაზეთში „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები:

„ინგლისი ისეთს მდგომარეობაშია ახლა, რომ უკან დაბრუნება აღარ შეუძლიან. ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენეს. მთელი ქვეყნის ყურადღება მივაქციეთ ჩვენ ამ

გარემოებაზე; ყველას შეატყობინეთ, ჩვენ თითონაც ძალიან გვერისხდით, და გამოვაცხადეთ კიდეცა, რომ სამაგიერო უნდა გადავახდევინოთ ავღანისტანის ემირს. ჯარებიც კი მივსწიეთ ავღანისტანის სამზღვართან ინდოეთიდამ.—და ახლა ჩნდებიან ზოგიერთი პირები, რომელნიც გვეუბნებიან, რომ ჯარები უკან წამოვიყვანოთ, თოფ-იარაღი დავყაროთ, და ამ ნაირად საქვეყნოთ გამოვაცხადოთ, რომ ჩვენე ვართ დამნაშავენი! იქნება ეს კეთილი რჩევა იყოს, მაგრამ ხალხს არ შეუძლიან ამ რჩევის მიღება და შესრულება.“

ამ სიტყვებიდამ ერთის მხრით ცხადათ სჩანს, რომ, თუ მართლა მოხდა შეტაკება ავღანისტანთან, ეს შეტაკება ინგლისის მხრით იქნება თავმოყვარეობისაგან გამოწვეული. მაგრამ ამას გარდა არის კიდევ მეორე მხარე, რომელიც ამაზე უფრო მომეტებულად არის მხედველობაში მისაღები. ეს არის შემდეგი:

ინგლისმა კარგათ იცის, რომ ინდოეთის სხვა-და-სხვა ხალხები მხოლოთ ერთის შიშისაგან ემორჩილებიან იმას, რადგან ჰგონიათ, რომ ის ძლიერია, რომ იმის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება არ შეუძლიანთ. ცხადია, რომ, თუ ავღანისტანს დაუთმო ინგლისმა, თუ სასტიკად არ დასაჯა ის თავის შეურაცხყოფისათვის, ინდოეთის ხალხები დაინახვენ იმის სისუსტეს, იმწამსვე ამოჰყოფენ თავს და მოინდომებენ განთავისუფლებას იმის დამოკიდებულებისაგან.

ამას გარდა სხვა მიზეზებიც აიძულებს ინგლისს ავღანისტანთან შეტაკებას, მაგრამ, უეჭველია, რომ ყველა ამ მიზეზებში უპირატესობა უნდა მიეცეს ზემო-ხსენებულს მოსაზრებას, რომ ავღანისტანთან სუსტათ საქმის დაჭერით, ის მთელს ინდოეთს აიჯანყებს და ვინ იცის, იქნება, კიდეც დაჰკარგავს.

—ლონდონის გაზეთს „დაილი ნეუსში“ იწერებიან ინდოეთიდამ:

„ალი-მეზჯიდში მივიდა კიდევ საიდხანი 5,000 კაცით. ამნაირად ავღანისტანის ემირს ამ ჩვენს მოსამზღვრე ქალაქში ჰყავს ახლა დაყენებული 35,000 კაცი.

„ამბობენ, საინგლისო ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდ ლიტტონმა სთქვა, რომ, თუ ემირს შირ-ალის ჰსურს ბოდიშის მოხდა, ის უეჭველად თვითონ უნდა მოვიდეს პეშავარში და აქ მოიხადოს ბოდიში იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ინგლისს მიაყენა ჩვენი ელჩების გამოყრითაო.“

### ავსტრია

ვენის გაზეთს „პრესში“ მოყვანილია შემდეგი სიტყვები:

„ამჟამად აქ ლაპარაკობენ რუსეთსა და ავსტრიას შუა დაახლოვებაზე და აღმოსავლეთის საქმეების ერთად და ძირიანათ გარდაწყვეტაზე. ამბობენ, ვითომც თ. ბისმარკს მიეცეს რუსეთისა და ავსტრიისათვის საიდუმლო წინადადება, რომ განაახლონ „სამი იმპერატორის კავშირი“ და უ-ინგლისოთ გადაწყვიტონ ყველა საქმეები, რომელნიც ოსმალეთს და საზოგადოთ აღმოსავლეთს შეეხება. აქ დარწმუნებული არიან აგრეთვე, რომ რუსეთი, თავის მხრით, დიდის სიამოვნებით მოთავსდება ავსტრიასთან. ამნაირად ევროპაში, როგორც ეტყობა, ერთხელ კიდევ ჩამოვარდება ლაპარაკი ოსმალეთს დაყოფაზე და განაწილებაზედ.“

### საბერძნეთი

საბერძნეთის ხალხის წარმომადგენელთა პალატაში იყო ამას წინათ სჯა საბერძნეთის საზოგადო მდგომარეობაზედ და ამ დროს მინისტრს კუმუნდუროსს უთქვამს შემდეგი სიტყვა:

„საბერძნეთი სრულებით შიშს არ გაუჩერებია, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შუა ბრძოლაში არ მიიღო მონაწილეობა. ამის მიზეზი მხოლოთ ის იყო, რომ ინგლისმა დაგვპირდა, რომ თქვენ უომოთაც მიიღებთ იმას, რისიც შეძენაც გინდათო. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ოსმალეთთან მოთავსება, დათანხმება შესაძლებელია. მაგრამ, თუ ოსმალეთი არ დათანხმდა ჩვენს მოთხოვნილებაზედ, მაშინ ჩვენ უომოთ ვერ გადავრჩებით.“

ამის გამო კუმუნდუროსი თხოულობდა, პარლამენტმა მისცეს მთავრობას უფლება, რომ სახელმწიფო ხაზინიდამ 34 მილიონი დახარჯოს ჯარების მოსამატებლად, რომ ამ ჯარის რიცხვი 40,000 კაცამდინ ავიყვანოთ.

## ტელეგრამმები

პეტერბურღის ბირჟა, 10 ოქტომბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 96— „ |
| მეორესი — — — — | 95—75 |
| მესამესი — — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — — | 95—50 |
| აღმოსავლეთის — — | 92—50 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 8—15 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 235— „ |
| მეორე სესხის — — — | 230— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— — | $24^{3}/_{16}$ „ | პენსი |
| ამსტერდამი— — | 122— „ | ცენტი |
| ბერლინი— — — | 205—25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 253—25 | სანტიმი |


## განცხადებანი

გასაქირავებელი სადგომი არის ირაკლის ქუჩაზე ბასტამოვის სახლიბში, მეორე ეტაჟაში: შვიდი სუფთა ოთახი, სამზარეულო და ბიჭებისთვის ოთახები.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟაში, სადაც უფ. კონსტანტინე კრუჩინოვი დგას.

(10—1)

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალი კენჭის-ყრისათვის ამომრჩეველთ სია შედგენილია და დაბეჭდილი ეგზემპლიარები გარდაცემული აქვს ყველა ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს ქალაქის ხელის-მომწერლებისათვის დასარიგებელად.

ამას გარდა ამ ამომრჩეველთ სიის მიღება შეიძლება თვით ქალაქის გამგეობაშიაც (უპრავაში) ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმ დღეებისა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა საჭიროდ რაცხს აცნობოს ყველას, რომ ვისაც ჰსურს, ამ ამომრჩეველთ სიის შესახებ, თავის შენიშვნები ანუ შეცდომების გასწორება წარმოადგინოს, შეუძლიან შემოიტანოს უპრავაში ორი კვირის განმავალობაში, 11 ოქტომბრიდამ დაწყებული.

(3—1)

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა უცხადებს მეტრაქტირეებსა და მეხარჩეებს (ხარშოვნიკებს), რომ ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის თვის განმავალობაში გამოცვალონ უპრავაში თავიანთი ვაჭრობის მოწმობა. ვინც ამ მოწმობას არ აიღებს ხსენებულ ვადამდინ, იმათი ზავედენიები, „ტრაქტირების წესდების“ მე-17, 18 და 58 მუხლების ძალით, დაკეტილი იქნება.

(3—2)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა;
ფასი 15 კაპეიკი.

დოქტორი—აკუშორი

## ნ. დ. გავრონსკი

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს ავათმყოფებს ყოველ დღეს დილის 9 საათიდგან 11 საათამდინ გარდა კვირა-დღისა.

სახლი მისი: ბანოვის ქუჩაზედ, № 7. კამერჩესკის ბანკის გვერდით. (3—2)

გამოვიდა ლიტოგრაფიიდამ და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

## ქართული სახალხო სიმღერები

ნოტებზე გარდაკეთებული მიხეილ მაჭავარიანისაგან და გამოცემული გ. ჩარკვიანისა. ფასი ერთი მანეთი (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## „სოლომონ ისაქიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი ლავრენტი არდაზიანისა. გამოცემული ი. მელიქოვისა და გ. ჩარკვიანისა. ფასი 30 კაპეიკი. (3—3)

ისყიდება პარტიით და თითო კულიტაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასით. ადრესი: ბოლნისი არწრუნის, № 146. ივანე ალხაზოვი.

თიანეთის უეზდში თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით, **ისყიდება მამული** სულ 700 **დესიატინა**, რომელიც შეიცავს სახნავ-სათესს ადგილს, ტყეს, საძოვარ ადგილს (იორზე).

ფასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებითი გარემოებები მეტობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8. (5—5)

## „წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულ ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულ ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება კავკასიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. მართინოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციეთან ახალი წიგნი.

## ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე ძერისელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა. ფასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში მართინოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მგრგვალის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდამ გადმოწერისათვის მგრგვალის ხელით; 3 ანბანის დედანი ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (იგივე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები—რა უმთავრესის საფუძვლით ემის ასოების ერთმანერთს გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **წიგნი სიბრძნე სიცრუისა** თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური

**თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები.** სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი.

იქვე ისყიდება იმისივე

## „იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთავისაგან. ფასი ორი შაური.

| რკ. გზა. | დილ. | | ს ღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 1 | 8 | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . | 6 | 5 | | | 6 | 74 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | დილ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . | 1 | — |
| გორს, ყუშეთს, სიღნაღს . . | — | 50 |
| რუსეთს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, ფინლანდიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის გზით—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლოტი წიგნის . . . . | 4 |
| დაზღვეულის (ბ.მი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა. თფილისი, 10 ოქტომბ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯ.ისა, ფუთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . | 1 | 30 |
| ბამბა, მოხვ., ფუთი . | 7 | 20 |
| —აბრეშუმისა, ფუთი . | 8 | 40 |
| ბაჟენტი 6 მან. ფუთი . | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური ლტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი | 8 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფუთ. | 12 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 80 |
| შაქარი, გირვ. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 20 |
| ყავა გირვანქა, გირვ. | — | 70 |
| ჩაი ქუჩუჯერისა ფუთი | 14 | 50 |
| თამბაქო, საუკეთესო ფუთ. | 6 | 60 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წ. ნამესტნიკის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბოლოზერიე—შინაგ. ავათ., მოგრინანცი—საკეთრო ქემია და სამშობიარო ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ. ა. ბ ხუტორი—სიბერით და ბავშვ., პეტრუსი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ., ქ. უნგერიანცი—ინფლუენტიურ და სამშობლ. ორგანოებს.

პარასკევს: ვერმიშევი—შ.ნ.გ., ა. ბახუტოვი—სიბერით ქალისა და ბავშვებისა.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეტრიაშვ—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Октября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.